სოციალური მეწარმეობის ცენტრი

www.segeorgia.org

საინფორმაციო ჟურნალი 12

იანვარი, 2015 წელი

სოციალური მეწარმეობა საქართველოში

სოციალური მეწარმეები თბილისობაზე.....2

სოციალური მეწარმეების მესამე ერთობლივი შეხვედრა.....3

სტუდენტური კონკურსის პირველი ეტაპის გამარჯვებულები გამოვლენილია.....4

გ ა ი ც ა ნ ი თ

სოციალური საწარმო „რეას ციყვები“.....5

სოციალური მეწარმეობის საერთაშორისო ამბები

სოციალური მეწარმეობის Skoll World ფორუმი 2015.....7

სოციალური მეწარმეობის დღე უნგრეთში.....7

სოციალური მეწარმეები თბილისობაზე

„საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის“, „ევრაზიის თანამშრომლობის ფონდისა“ და ქ. თბილისის მერიის მხარდაჭერითა და ორგანიზებით 25-26 ოქტომბერს ქართულ სოციალურ საწარმოებს პირველად მიეცათ შესაძლებლობა მონაწილეობა მიეღოთ თბილისობის დღესასწაულისადმი მიძღვნილ გამოფენა-გაყიდვაში.

თბილისობის დღესასწაულზე სოციალური საწარმოების მონაწილეობა მიზნად ისახავდა მათი პროდუქციის მომხმარებელთა ფართო მასებისთვის გაცნობას, პოპულარიზაციას და გაყიდვების მაჩვენებლის ზრდას.

გამოფენა-გაყიდვაში მონაწილეობდა 15 სოციალური საწარმო, რომელთაც წარმოდგენილი ჰქონდათ სხვადასხვა ტიპის ნაწარმი: თექა, ქვილთი, მინანქარი, ნატურალური წვენი, სვანური მარილი, DVD პროდუქცია, ხის სათამაშოები, ხელნაკეთი მისალოცი ბარათები და სხვა.

თბილისობის დღესასწაულზე სოციალური საწარმოების მიერ წარმოდგენილ პროდუქციას ბევრი დამთვალიერებელი და მყიდველი ჰყავდა. მყიდველებს შორის ბევრ ცნობილ სახეებსაც ნახავდით, მათ შორის საქართველოს პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილსა და ქ. თბილისის მერ დავით ნარმანიას. ორივე მათგანი გაესაუბრა სოციალურ მეწარმეებს და შეიძინა მათი პროდუქცია. სოციალური მეწარმეები ჟურნალისტების განსაკუთრებულ ინტერესსაც იმსახურებდნენ.

შეიძლება ითქვას, რომ სოციალური საწარმოების პოპულარიზაციისთვის გადადგმული პირველი ნაბიჯი - თბილისობის გამოფენა-გაყიდვაში მონაწილეობა საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა და თავის მიზანს მიაღწია. სოციალური საწარმოების წარმომადგენლები გარდა პროდუქციის რეალიზაციისა, დაინტერესებულ მყიდველებს აცნობდნენ თავიანთი საქმიანობის მიზნებს და არიგებდნენ

საპოპულარიზაციო მასალებს. გამოფენა-გაყიდვაში მონაწილეობით თითოეულმა საწარმომ გაზარდა გაყიდვების მაჩვენებელი, ხოლო რამდენიმე მათგანმა საქმიანი შეთავაზებაც მიიღო.

სოციალური მეწარმეების მესამე ერთობლივი შეხვედრა

23 დეკემბერს საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის, ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის და ქალაქ თბილისის მერიის ორგანიზებით მოეწყო სოციალურ მეწარმეთა მესამე ერთობლივი შეხვედრა. შეხვედრას ესწრებოდა 80-მდე მონაწილე, მათ შორის სოციალური მეწარმეები, საზოგადოებრივი ორგანიზაციების და ქ. თბილისის მერიის წარმომადგენლები, ბიზნესმენები.

სოციალური მეწარმეების ერთობლივი შეხვედრა 2012 წლიდან ტრადიციულად იმართება წლის დასასრულს. ყოველ წელს ღონისძიების თემატიკა და განსახილველი საკითხები წინასწარ არის განსაზღვრული ორგანიზატორების მიერ და დაკავშირებულია კონკრეტული წლის განმავლობაში მომხდარ აქტუალურ მოვლენებთან.

2014 წლის მესამე ერთობლივი შეხვედრა წინა წლების შეხვედრებისგან ქ. თბილისის მერიის წარმომადგენლების და ბიზნესმენების აქტიური დასწრებით და ჩართულობით გამოირჩეოდა.

ერთობლივი შეხვედრის დღის განრიგი რამდენიმე სესიად იყო დაყოფილი. პირველი სესია ძირითადად წლის შეჯამებას დაეთმო. სესიის მიმდინარეობისას მონაწილეებს თავიანთი საქმიანობა გააცნეს წარმატებული სოციალური საწარმოების წარმომადგენლებმა. მეორე სესიაზე, მონაწილეებისთვის სოციალური მეწარმეობის კანონპროექტის პრეზენტაცია გააკეთა და მათ შეკითხვებს უპასუხა კანონპროექტის ავტორმა, საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრის ექსპერტ-იურისტმა ლევან ალაფიშვილმა.

შეხვედრას ესტუმრა და მონაწილეებს სექტორებს შორის თანამშრომლობის მნიშვნელოვნებაზე სიტყვით მიმართა ქ. თბილისის მერმა ბატონმა დავით ნარმანიამ. სოციალური საწარმოების პროდუქციის და მომსახურების გაცნობის მიზნით მოეწყო საგამოფენო სივრცე. ბატონმა დავითმა დაათვალიერა წარმოდგენილი პროდუქტები და დააგემოვნა სოციალური საწარმოს "სობისური" ნატურალური ვაშლის წვენი.

ერთობლივი შეხვედრის ბოლო სესია დაეთმო ბიზნესის წარმომადგენლების მხრიდან შესაძლო თანამშრომლობის გზების და მხარდაჭერის მექანიზმების განხილვას.

სტუდენტური კონკურსის პირველი ეტაპის გამარჯვებულები გამოვლენილია

„სტუდენტები სოციალური მეწარმეობის მხარდასაჭერად 2014“-ის ფარგლებში მონაწილე ოთხივე უნივერსიტეტის სტუდენტურ გუნდებს შორის კომისიის წევრებმა გამოავლინეს გამარჯვებული გუნდები ორივე ნომინაციაში.

კავკასიის უნივერსიტეტის გამარჯვებული გუნდები არიან:

ნომინაცია „ბიზნეს პროექტის შემუშავება და განხორციელება“ - გუნდი ProfTeam;

ნომინაცია „ინოვაციური ბიზნეს გეგმის შემუშავება“- გუნდი Edelweiss.

ქართული უნივერსიტეტის გამარჯვებული გუნდები არიან:

ნომინაცია „ბიზნეს პროექტის შემუშავება და განხორციელება“ - გუნდი სოცეკონომია;

ნომინაცია „ინოვაციური ბიზნეს გეგმის შემუშავება“ - გუნდი მომავალი.

თსუ-ს გამარჯვებული გუნდები არიან:

ნომინაცია „ბიზნეს პროექტის შემუშავება და განხორციელება“ - გუნდი ”PR concept”;

ნომინაცია „ინოვაციური ბიზნეს გეგმის შემუშავება“- გუნდი ”ჩვენ ერთად ვართ”.

ილიაუნის გამარჯვებული გუნდები არიან:

ნომინაცია „ბიზნეს პროექტის შემუშავება და განხორციელება“ - გუნდი ”ილიაუნის სოციალური საწარმო”;
ნომინაცია „ინოვაციური ბიზნეს გეგმის შემუშავება“- გუნდი ”თანამედროვე სოციალური საწარმო”.

შიდასაუნივერსიტეტო კონკურსებში გამარჯვებული გუნდები ერთმანეთს უკვე უნივერსიტეტთაშორის ფინალზე დაუპირისპირდებიან. მანამდე კი, I ნომინაციაში

გამარჯვებული სტუდენტური გუნდები თავისივე დასახული გეგმის მიხედვით შეეცდებიან სოციალური საწარმოების არსებული პრობლემების გადაჭრას, ხოლო II ნომინაციაში გამარჯვებული სტუდენტური გუნდები ახალი სოციალური საწარმოს დაფუძნების ბიზნეს გეგმის სრულყოფაზე იმუშავებენ.

25-26 დეკემბერს კონკურსის I ნომინაციაში - „არსებული პრობლების გადაჭრა“ გამარჯვებული გუნდების წევრებისთვის ჩატარდა მასტერკლასები, რომლებსაც უძღვებოდნენ მარკეტინგის და PR-ის პრაქტიკოსები - საქართველოს ბანკის სიცოცხლის ხის ფონდის დირექტორი, თორნიკე გურული და მარკეტინგული კვლევებისა და სტრატეგიული კონსალტინგის კომპანია ეისითის ბრენდის განვითარების და პიარ სამსახურის უფროსი, გიორგი კალატოზიშვილი.

გ ა ი ც ა ნ ი თ

სოციალური საწარმო „რეას ციყვები“

სოციალური საწარმო - შპს კაფე გალერეა „რეას ციყვები“ დაფუძნდა 2013 წელს, ქალთა კავშირის „რეა“ მიერ. სოციალური საწარმოს სახელის პირველი ნაწილი ერთის მხრივ უკავშირდება ქალღმერთი რეას სახელს, ხოლო მეორეს მხრივ, სიტყვა „რეა-ბილიტაციასთან“, არსებულ სმენით ასოციაციას, ხოლო რაც შეეხება კაფეს სახელის მეორე ნაწილს - ციყვებს, ეს კაფეში დასაქმებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოზარდების მიერ შერჩეული სახელია.

საწარმოს მიზანია მენტალური შეზღუდვის მქონე პირების დასაქმება და მათი რესოციალიზაცია. სოციალურ საწარმოში დასაქმებულია 10 თანამშრომელი, აქედან 4 არის

მენტალური შეზღუდვის მქონე პირი, რომლებიც მუშაობენ მიმტანის პოზიციაზე.

საწარმოში დასაქმებულების სამუშაო განრიგი სხვადასხვაგვარია: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები მუშაობენ მორიგეობით, სამ დღეში ერთხელ, ხოლო დანარჩენი 6 თანამშრომელი სრული დატვირთვით მუშაობს.

კაფე-გალერეა მდებარეობს სოლოლაკში, ჭონქაძის 29 ნომერში, რომელიც ესაზღვრება ვილნიუსის სკვერს. სოციალური საწარმოს თანამშრომლების თქმით, სკვერიდან მათთან ხშირად გადმოდიან ციყვები, რომლებიც პარკში არსებულ ნაძვის ხეებზე ბინადრობენ. ამდენად, მოზარდების მიერ კაფესთვის სპონტანურად დარქმეული სახელი, კაფეს ადგილმდებარეობას და ვილნიუსის სკვერში მობინადრე ციყვებსაც უკავშირდება.

სოციალური საწარმო მომხმარებელს სთავაზობს რამდენიმე სახის საკვებ პროდუქციას. ცომეულს

(ხაჭაპური, ფხლოვანები), ლანჩის მენიუს,სალათებს, ტკბილეულს, ქიშებს, სასმელს (ჩაი, ყავა) ჩამოსასხმელ ლაღიძის წყალს და მცირე რაოდენობით ალკოჰოლურ სასმელებს. „რეას ციყვების“ სამზარეული ატარებს ჯანსაღი კვების ხაზს. აღსანიშნავია, რომ სოციალური საწარმო კაფე-გალერეა „რეას ციყვები“ არის არამწეველთა გარემო, მწეველთათვის კი მაგიდები ტერასაზეა განლაგებული.

კაფე მუშაობს მუშაობს ყოველდღე- დილის 11:00 საათიდან საღამოს 11:00 საათამდე.

მიუხედავად კაფეს არსებობის არცთუ დიდი ხნის ისტორიისა, მას მუდმივი მომხმარებლები უკვე ყავს. კაფეს ხშირად სტუმრობენ ცნობილი სახეები და დედაქალაქის სტუმრები.

სოციალური მეწარმეობის Skoll World ფორუმი 2015

2015 წლის 15-17 აპრილს, ოქსფორდის უნივერსიტეტი **Skoll World** ფორუმის 1000-მდე მონაწილეს უმასპინძლებს. ფორუმზე ყოველწლიურად იკრიბებიან მსოფლიოს ყველაზე გავლენიანი სოციალური მეწარმეები, ლიდერები და სტრატეგიული პარტნიორები ინფორმაციების გაცვლის, იდეეების გაზიარების და სხადასხვა პრობლემური საკითხების გადაწყვეტის გზების მოსაფიქრებლად.

Skoll World ფორუმი წარმოადგენს მთავარ საერთაშორისო პლატფორმას, რომელიც მსოფლიოს ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი პრობლემების მოგვარების გზად სამეწარმეო მიდგომების გამოყენებას მიიჩნევს. ფორუმის ორგანიზატორების მისიაა სოციალური მეწარმეები დააკავშირონ მნიშვნელოვან პარტნიორებთან, რათა დაჩქარდეს და გაიზარდოს მათ საქმიანობის დადებითი სოციალური შედეგები და მასშტაბები.

სოციალური მეწარმეობის დღე უნგრეთში

NESsT -ის და მისი პარტნიორების ორგანიზებით რიგით მე-4 „სოციალური მეწარმეობის დღე“ აღინიშნა უნგრეთში.

ღონისძიებაზე დასასწრებად დაახლოებით 300 მონაწილე იყო მოწვეული, მათ შორის: პრაქტიკოსები, მხარდამჭერები, სამთავრობო უწყებების წარმომადგენლები, აკადემიკოსები და ბიზნესმენები.

ღონისძიების დასაწყისში NESsT-ის თანამშრომლებმა სოციალური მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის 17 წლიან გამოცდილებაზე დაყრდნობით გააკეთეს ანალიზი იმისა, თუ რა ფაქტორები განაპირობებენ სოციალური საწარმოს წარმატებას ან წარუმატებლობას.

შემდგომ მომხსენებლებს შორის იყო ეკონომიკის სამინისტროს წარმომადგენელი, რომელმაც ისაუბრა იმაზე, თუ რა გავლენას იქონიებს **EU2020** სტრატეგია უნგრეთის 2014-2020 წლების პროგრამულ პერიოდზე. მომდევნო წლების განმავლობაში უნგრეთის მთავრობა სოციალური მეწარმეობისთვის შესაბამისი გარემოს ჩამოყალიბების მიზნით სამი მიმართულებით იმუშავებს, კერძოდ:

- ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- სექტორის ცნობადობის გაზრდა;
- ხელშემწყობი საკანონმდებლო გარემოს ჩამოყალიბება.

ღონისძიების ფორმატი საკმაოდ მრავალფეროვანი იყო და დაჯილდოვების ცერემონიაც მოეწყო. პრიზები გადაეცათ უნგრეთის ყველაზე წარმატებულ სოციალურ საწარმოებს, მათ შორის:

Kétker-Étkem - გარემოზე მზრუნველი სოციალური საწარმოა, რომელიც მომხმარებელს საკვების ადგილზე მიტანის სერვისს სთავაზობს. საწარმო ყიდის მცირე მეწარმეების პროდუქციას და იყენებს ისეთ კონტეინერებს რომლის მეორადი გადამუშავებაც არის შესაძლებელი. საკვების დანიშნულების ადგილამდე მისატანად სატრანსპორტო საშუალებად იყენებს ველოსიპედებს. საწარმო კულინარიის პროფესიულ კურსებს სთავაზობს ყურადღების დეფიციტის და ჰიპერაქტივობის სინდრომის მქონე სტუდენტებს. საწარმოს ჯილდოს სახით გადაეცა 5 000 დოლარი.

Mahajana Foundation - უზრუნველყოფს საკვირაო სკოლის ფუნქციონირებას უკიდურესად გაჭირვებული Roma საზოგადოებისთვის. აგრეთვე დაგეგმილი აქვთ ყველის წარმოების დაწყება რათა მოიზიდონ ფულადი რესურსები Roma ოჯახებისთვის და დამატებითი სახსრები საკვირაო სკოლისთვის. NESsT და Badur Foundation ერთი წლის განმავლობაში დააფინანსებენ საწარმოს საპლიოტე ფუნქციონირებას. საწარმოს ჯილდოს სახით გადაეცა 6 000 დოლარი.

დაჯილდოვების დასრულების შემდეგ დაიწყო 3 სესია პარარელურ რეჟიმში. პირველი სესიის თემა იყო კომუნიკაცია

მიზნობრივ სეგმენტთან. მეორე სესიის თემად განისაზღვრა სოციალური სარგებელის გაზომვის მექანიზმები, ხოლო მესამე სესია ეძღვნებოდა სოციალური საწარმოების დაფინანსების შესაძლო გზების განხილვას.

სოციალური საწარმოების პროდუქციის გაცნობის მიზნით 35 სოციალურ საწარმოს წარმოდგენილი ჰქონდა საკუთარი პროდუქცია.

თუ აღარ გსურთ მიიღოთ სოციალური მეწარმეობის საინფორმაციო ჟურნალის შემდეგი გამოცემები, გამოაგზავნეთ ტექსტი - "გამოწერის გაუქმება" შემდეგ მისამართზე: info@cse.ge

ყველა საავტორო უფლება დაცულია და ეკუთვნის "საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრს"